ორმხრივ ტაქტიკურ დუელში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – ასკ (როსტოვი) 2:1.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, შენგელია, მესხი.

ასკ: რუდენკო, მალუხინი, შჩერბაკი, შინკარიოვი, ანდრიუშჩენკო, კლიუჩნიკოვი, აგაშკოვი, ანდრეევი, პლოშნიკი, ვორობიოვი, გალაიბა.

24–ე წთ. ჭედია, 46–ე წთ. ანდრეევი, 76–ე წთ. ჩივაძე.

მე–60 წთ. ანდრიუშჩენკოს ნაცვლად – სკლიაროვი, 65–ე წთ. ცაავას ნაცვლად – მახარაძე, მე–80 წთ. კაკილაშვილის ნაცვლად – ფრიდონიშვილი, 82–ე წთ. შინკარიოვის ნაცვლად – სუროვიკინი.

მსაჯი: ანატოლ ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს: გალაიბა.

კარში დარტყმა – 16:14 (9:6), ზუსტი დარტყმა – 5:6 (2:4), საჯარიმო მოედნიდან – 6:4 (3:2).

კუთხური – 10:3 (3:2).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 10 (7), როსტოველები – 11 (6).

წლევანდელ ჩემპიონატში “დინამოს” სტადიონზე გამართული მატჩებიდან გუშინწინდელი ალბათ ყველაზე საინტერესო იყო, როგორც სპორტული, ისე სანახაობრივი თვალსაზრისითაც. ასეთ შემთხვევებში ქებას ორივე გუნდი თანაბრად იმსახურებს, რადგან კარგი ფეხბურთის აუცილებელი პირობა მეტოქეთა თანაბარი დონე, ერთი სიტყვით კი კარგი თამაშია.

როგორღაც შევეჩვიეთ, რომ თბილისში სტუმრად ჩამოსული გუნდი ძირითადად დაცვაზე ფიქრობს, იერიშებს კი ისე იწყებს და ავითარებს, როგორც გამოუვა, როგორც ამას ვითარება უკარნახებს. არ ვიცი, როსტოველებს თავიდანვე ჰქონდათ დაგეგმილი თუ მატჩის დასაწყისშივე მოძებნეს თბილისელთა სუსტი ადგილი, ეს კი იყო – მასპინძელთა დაცვის მარცხენა ფლანგი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თავდასხმის მთავარ ობიექტად იქცა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ არმიელთა მარჯვენა მცველი მალუხინი (№2) და მარჯვენა ნახევარმცველი აგაშკოვი (№7). არზიანმა და კაკილაშვილმა, როგორც ჩანს, შემთხვევითობას მიაწერეს ამ ზონაში სტუმართა უპირატესობა და, ცოტა არ იყოს, უყურადღებოდ განაგრძეს თამაში. სხვაგვარად მოიქცნენ ანდრეევი (№8) და ვორობიოვი (№10). ორივე ფეხბურთელი ყოველნაირად ცდილობდა კიდევ უფრო გაემწვავებინა ვითარება მარჯვენა ფლანგზე – განუწყვეტლივ ამარაგებდნენ ბურთებით აგაშკოვსა და მალუხინს. და თუმცა საერთო ინიციატივა თბილისელთა მხარეს იყო, ამ ლოკალურმა ტაქტიკურმა უპირატესობამ როსტოველებს საშუალება მისცა რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შეექმნათ მასპინძელთა კართან. მალუხინის რეიდების შემდეგ მეოთხე, მეხუთე და მეოცე წუთებზე ანდრეევსა და მის პარტნიორებს გოლის გატანაც კი შეეძლოთ. ოცდამეხუთე წუთზე თვით მალუხინის მიერ დარტყმული საკმაოდ ძნელი ბურთი აიღო გაბელიამ.

ყველაფერ ამის სანაცვლოდ თბილისელებმა ცენტრსა და მოპირდაპირე ფლანგზე მოიპოვეს უპირატესობა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მასპინძლებმა თავდასხმის მარჯვენა ფლანგი ჯეროვნად მაინც ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ “დინამოს” მთავარი დასაყრდენი ცენტრი გამოდგა – ურიგოდ არ უთამაშიათ ჭედიას

და ცაავას. აქედან, მინდვრის ცენტრალური ზონიდან, მასპინძლები იერიშებში აბამდნენ მესხსაც, რომლის ნეიტრალიზებას მაინცდამაინც კარგად ვერ გაართვა თავი იერიშებით გართულმა მალუხინმა. სწორედ აქედან გავიდა პირველი გოლი: ჭედიას პასის შემდეგ მესხი ოდნავ შეყოვნდა და მერე უკანვე, საჯარიმოში დააბრუნა ბურთი – ჭედიას თავური დარტყმა უნაკლო გამოდგა – 1:0.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. როგორც ჩანს, მწვრთნელებმა შესვენებაზე კონტროლონისძიებებს მიმართეს – ერთმაც და მეორე მხარემაც დაკარგა ის ტაქტიკური უპირატესობანი, რაც პირველ ტაიმში ჰქონდათ. თამაშის ამ "განეიტრალიზებაზე" უთუოდ იმოქმედა ანდრეევის მიერ 46–ე წუთზე გატანილმა გოლმაც (გალაიბას ჩაწოდების შემდეგ). ამის შემდეგ მეტოქეები კარგა ხანს ეძებენ იერიშის ახალ, დამატებით საშუალებებს. სტუმრებს საამისო რესურსები არ აღმოაჩნდათ, აი, თბილისელთა კაპიტნის ალექსანდრე ჩივაძის დროული მანევრის შემდეგ კი "დინამომ" კვლავ დაიბრუნა უპირატესობა ცენტრში. 76–ე წუთზე ჩივაძე–სვანაძე–შენგელიას კომბინაციის შემდეგ მეკარის მოგერიებულ ბურთს ისევ ჩივაძემ მიუსწრო და ზუსტი დარტყმით დააწინაურა თავისიანები – 2:1.

მატჩის დამთავრებამდე ჯერ საკმაო დრო იყო დარჩენილი და "დინამო" ალბათ სწორად მოიქცა, როცა შუა ტაიმში ნაპოვნ ტაქტიკურ ხაზს ბოლო წუთამდე აღარ გადაუხვია. 81–ე წუთზე კიდევ ერთი კარგი კომბინაცია გაითამაშეს ჩივაძემ და შენგელიამ. ამ და სხვა შეტევებს, მართალია, გოლი აღარ მოჰყოლია, მაგრამ ის სარგებლობა კი მოჰქონდა, რომ მეტოქე საკუთარი კარიდან ასე თუ ისე უხიფათო დისტანციაზე ჰყავდა შეჩერებული…

რა თქმა უნდა, ჩემპიონატის სტარტი საკმაოდ იოლი იყო "დინამოსთვის", მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ ცხრა ქულა ხუთი თამაშიდან ხუმრობა საქმე არ არის. ცხადია, არის და მუდამ იქნება პრეტენზიები თამაშის ხარისხის მიმართ. ეს ჩვეულებრივი ამბავია ფეხბურთში – ადამიანის სურვილს ხომ მართლაც არა აქვს საზღვარი. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ადრე თუ გვიან დასრულდება დაუმარცხებელი სერია, დაიკარგება ქულები, შესაძლოა ლიდერის პოზიციაც, მაგრამ ერთს კი – კარგი თამაშის სურვილსა და მონდომებას – ვერავინ დაუკარგავს თბილისის "დინამოს", ისევე როგორც ამ არცთუ იოლად მოპოვებულ 9 ქულას, რაც კაცმა არ იცის, სად და როგორ წაადგება გუნდს.

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი, თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი: "მიუხედავად იმისა, რომ გავიმარჯვეთ, როსტოველებთან შეხვედრაში თავი იჩინა ჩვენი გუნდის ბევრმა ისეთმა ნაკლმა, რომელთა გამოსწორება უმოკლეს ხანში უნდა შევძლოთ. ლიდერის როლში ყოფნა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს – მეტად საპასუხისმგებლოც. ახლა ორი თამაში გველის სტუმრად – ლენინგრადის "ზენიტთან" და მოსკოვის "სპარტაკთან". სწორედ ამ შეხვედრებში გამოჩნდება, რამდენად კანონზომიერია ჩვენი სატურნირო პოზიცია, რამდენად შეესაბამება ჩვენი თამაშის ხარისხი აქამდე მიღწეულ შედეგს. მორიგი მატჩებისთვის მზადებას უდავოდ გაგვირთულებს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის პირველ, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებში მიიწვიეს ჩვენი გუნდის ხუთი წევრი, რომლებიც მხოლოდ ლენინგრადში გამგზავრების წინ, 19 აპრილს შემოგვიერთდებიან".

ანატოლი პოლოსინი, როსტოვის ასკ–ის უფროსი მწვრთნელი: “სანამ უშუალოდ მატჩს შევეხებოდე, ერთი რამ მინდა აღვნიშნო: თბილისის “დინამო” ახლა თამაშობს თანამედროვე ფეხბურთს, სადაც ტექნიკისა და იმპროვიზაციის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ათლეტურ მომზადებასაც. ჩემი აზრით, მასპინძელთა გამარჯვება, პირველ ყოვლისა, გამოცდილ ფეხბურთელთა ძლიერმა თამაშმა განაპირობა. ვგულისხმობ ჩივაძისა და შენგელიას მეტად კვალიფიციურ, აქტიურ თამაშს. ჩვენმა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის ექვსი მატჩიდან ხუთი სტუმრად ჩაატარა. ამიტომ ამ შეხვედრებში მოპოვებული ხუთი ქულა ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. მაგრამ მთავარია მივაღწიოთ სტაბილურად კარგ თამაშს, რაც აუცილებლად გაამდიდრებს ქულათა მარაგს.

“ლელო”, 9 აპრილი, 1985 წ.